საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-10/77

ქ. ბათუმი 15 სექტემბერი 2021 წ.

ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო, სახელოვნებო და ზოგიერთი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №37 დადგენილების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლისა და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსის, კობა ჭანტურიას 2021 წლის 09 სექტემბრის MES 4 21 0000884727 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაცია განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) №1 კორპუსი - ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.23.03.004);

ბ) №2 კორპუსი - ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.23.03.004);

გ) №3 კორპუსი - ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32-ში, მელიქიშვილის ქუჩის მხარეს მდებარე, ყოფილი ,,საერთო საცხოვრებელის'' შენობა (ს/კ 05.23.03.004);

დ) №4 კორპუსი - ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.24.05.084);

ე) №5 კორპუსი - ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.30.26.027);

ვ) №6 კორპუსი - ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N 15-ში მდებარე ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სარგებლობაში არსებული შენობა (ს/კ 05.25.12.020);

ზ) №7 კორპუსი - ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N 15-ში მდებარე, სტუდენტთა საცხოვრებლის შენობა (ს/კ 05.25.12.020);

თ) №8 კორპუსი - ქ. ქობულეთი, ჰეიდარ აბაშიძის N 26-ში მდებარე, ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სარგებლობაში არსებული შენობა (ს/კ 20.42.11.522).

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე, კორპუსებზე ნუმერაციის მინიჭების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 15 იანვრის №01-11/6 ბრძანება.

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევით ინტიტუტებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ი. ჩხარტიშვილი